საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია

წმინდა ილია მართლის საზოგადოება





# სამხედრო საქმეთა კომისიის საინფორმაციო-დოკუმენტური ბიულეტენი

№ 3

თბილისი 1990 წ.

საქართველოს ეროვნული მოძრაობის
ყველა ოპოზიციურ ძალას
წმ. ილია მართლის საზოგადოების
და ეროვნული დამოუკიდებლობის
პარტიის, საქართველოს კონსერვა-
ტორულ-მონარქისტული პარტიის

# მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

თავისი უზენაესი მიზნის – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის – მიღწევისათვის ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საფუძვლად უნდა გაიხადოს შემდეგი პრინციპებისა და ამოცანების განხორციელება:

ა) დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის უნდა წარიმართოს, როგორც აქტიური მონაწილეობა საბჭოთა იმპერიის დაშლის ერთობლივ საქმეში, რაც თავის მხრივ გულისხმობს აქტიურ მონაწილეობას ამ იმპერიის ერთ-ერთი ფუნდამენტური სტრუქტურის – საბჭოთა საოკუპაციო არმიის – რღვევის ერთობლივ საქმეში;

ბ) ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს იმ პოლიტიკური პროცესის გაშლა-განვითარებას, რომელმაც საქართველოში ფეხი მოიკიდა 1989 წელს და საკმაოდ სერიოზულ მასშტაბებს მიაღწია, კერძოდ, ხელი შეუწყოს, რომ ქართველი ახალგაზრდების მიერ საოკუპაციო არმიაში სამსახურზე უარის თქმამ სულ უფრო და უფრო მასიური და საბოლოო ჯამში კი ტოტალური ხასიათი მიიღოს;

გ) აუცილებელია მიღწეულ იქნას, რომ საქართველოს მოსახლეობაში საყოველთაო გავრცელება ჰპოვოს სამხედრო ბილეთების გადაგდებამ;

დ) სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეთოდური ზეწოლის შედეგად უნდა გაუქმდეს სამხედრო სწავლება სკოლებში და სამხედრო კათედრები უმაღლეს სასწავლებლებში;

ე) ა – პუნქტიდან გამომდინარე ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ინტენსიური კოორდინირება უნდა გაუწიოს საოკუპაციო არმიისადმი ბოიკოტის აქციას საბჭოთა იმპერიის სხვა ჩაგრულ ერთა ეროვნული მოძრაობების ანალოგიურ აქციებთან და რეგულარულად ითანამშრომლოს მათთან აღნიშნულ საქმეში;

ვ) აუცილებელია საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ საოკუპაციო ჯარებში დესტრუქციულ პროცესთა ინტენსიფიკაცია მათ რიგებში – როგორც ოფიცერთა, ასევე რიგით ჯარისკაცთა – ჭეშმარიტად დემოკრატიულ, ანტიტოტალიტარულ იდეათა პროპაგანდის გზით;

ზ) 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის საერთაშორისო კონვენციის თანახმად, რაზედაც ხელი აქვს მოწერილი საბჭოთა კავშირსაც, უნდა გაუქმდეს სამხედრო ბეგარა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

P.S. დღე-დღეობით უკვე ნათელია, რომ დაიწყო საბჭოთა არმიის დაშლა და გარდაუვალია ამ პროცესის შემდგომი გაღრმავება. ნათელია, რომ ეს პროცესი განვითარდება არა მხოლოდ ერთ და ორ ე.წ. საბჭოთა რესპუბლიკაში, არამედ რუსეთის მთელი იმპერიის მასშტაბით. საბჭოთა იმპერიის ყველა ჩაგრული ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესი ამ პროცესთა მიმართ ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს, ვინაიდან მიზანი ერთია: საბჭოთა არმიის რღვევა და საოკუპაციო ჯარების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიათა დატოვება. ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელიც მყარად დაადგა აღნიშნული მიზნის განხორციელების ზემოთ წარმოდგენილ გზას, კვლავაც უნდა განაგრძოს ამ გზით სიარული.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, ქრისტიანულ საქართველოს!

1990 წლის 25 თებერვალი

ოკუპირებული საქართველოს კომისარს გენერალ-ლეიტენანტ დ. მარამენიძეს

წმ. ილია მართლის საზოგადოების და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის სამხედრო საქმეთა კომისიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადება

მოგახსენებთ, რომ 1989 წლის მაის-ივნისში მიმდინარეობდა წვევამდელების გაწვევა სამხედრო სამსახურის საქართველოში გავლის მოთხოვნით. ეს გაწვევა ჩატარდა საქართველოს მრავალ სხვადასხვა რაიონში, რაიონულ ცენტრებში, ქალაქებში და მათ შორის თბილისში. გაწვეულ წვევამდელებს მოეცათ მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების დოკუმენტები — იურიდიული ძალის მქონე (კომისარიატის ბეჭდით და კომისრის ან კომისრის მოადგილის ხელმოწერით). ამჟამად ჩვენ მოგვდის უტყუარი ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ ადგილი აქვს თბილისში და სხვადასხვა რაიონებში რაიონული კომისარიატების წარმომადგენლების მიერ დაკმაყოფილებულ წვევამდელების მზაკვრული მოტყუების მცდელობას და, კერძოდ, მათ ძალით გაწვევას საქართველოს ფარგლებს გარეთ, მათ შორის შორეულ აღმოსავლეთშიც. ამასთან ერთად ირკვევა, რომ შედგენილია შავი სიები გაწვეულ წვევამდელთა მიმართ. ყოველივე ზემოთ აღნიშნული იძლევა სრულიად კანონიერ საფუძველს იმისათვის, რომ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე იმ პირებისადმი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან წვევამდელთა მოთხოვნის დამაკმაყოფილებელ დოკუმენტებზე. ჩვენი ორგანიზაციები სრული პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ თუ კი არ შეწყდება ამგვარი ჭუჭყიანი ხრიკები, მივმართავთ უკიდურეს პოლიტიკურ ზომებს ე.წ. საქართველოს სსრ კომისარიატის მიმართ.

კომისიის სახელით: ი. ბათიაშვილი
კ. ლურსმანაშვილი
ა. გიორგაძე
დ. გოგიაშვილი
ა. გოგოლაძე

სამხედრო კომისარიატმა ეს მოქმედება კვლავ გაიმეორა ოქტომბერ-ნოემბერში გასაწვევ წვევამდელთა მიმართ. მათ აღუთქვეს საქართველოში იმსახურებთ და კვლავ მოატყუეს. არ ენდოთ სიტყვის გამტეხთ!

ვბეჭდავთ ამ ფაქტის დამადასტურებელ წერილს (კ.ლ.).

წერილს გწერთ 1989 წლის შემოდგომის წვევამდელები. ჩვენ ვეკუთვნით იმ 30%-ს, რომლებსაც საქართველოში უნდა გვემსახურა. გაწვეული ვიყავით საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ქ. გუდაუთაში, სახაერო თავდაცვის ნაწილებში. 17 ნოემბრიდან 1 თებერვლამდე ჯერ მოგვტყუებით, თითქოსდა თბილისში უნდა გადავეყვანეთ სასამსახუროდ, შემდეგ კი როდესაც გავაცხადეთ, რომ შეგვიძლია მატარებლითაც მოხვედრა თბილისში და უარი ვთქვით თვითმფრინავით გადაყვანაზე, მოხდა ძალადობით შეყრა თვითმფრინავში. ჩვენგან წინააღმდეგობის გაწევას არავითარი აზრი არ ჰქონდა, რადგან უამრავი ოფიცრები გვედგა თავზე. ჩვენ ვთვლით, რომ ეს აქცია თავიდანვე იყო ჩაფიქრებული, რადგან გუდაუთაში მოხდა სხვადასხვა ნაწილებიდან ქართველების და სომხების კონცენტრირება და როგორც ცნობილია, გუდაუთა არის მთელს აფხაზეთში ქართველებით ყველაზე მეჩხერად დასახლებული ადგილი, რათა ადგილობრივი მოსახლეობიდან არავითარი თანადგომა არ გვქონოდა. ამჟამად ვიმყოფებით გზაში ქ. კურსკში, საბოლოო ადგილსამყოფელს ბელორუსიაში გვპირდებიან რაშიც დარწმუნებული არ ვართ. ამავე წერილში მივმართავთ იმ ახალგაზ

რდა ქართველებს, რომლებსაც უპირებენ გაწვევას საქართველოში სამსახურის მოსახდელად, გაფრთხილდნენ, ადრე თუ გვიან მათაც ჩვენსავით მოატყუებენ.

ხელს აწერს 36 ჯარისკაცი.

იმის წარმოსაჩენად, თუ როგორ შეაფასეს საქართველოს ხელისუფლების უმაღლესმა ორგანოებმა სამხედრო-სავალდებულო სამსახურისადმი წვევამდელთა დამოკიდებულება და როგორ ამოუდგნენ მათ მხარში, ვბეჭდავთ საქართველოს კულტურის სამინისტროს ბრძანებას. გაითვალისწინეთ, რომ ყოველივე ეს ხდება 9 აპრილის ტრაგედიისა და აპრილ-მაისის სამხედრო სავალდებულო სამსახურისადმი საპროტესტო გაფიცვების შემდეგომ!

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
10 აგვისტო 1989 წ., თბილისი 3/347

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის მოსახლეობისა და საბჭოთა არმიის მოსამსახურეთა ნაწილში ჩამოყალიბდა სხვადასხვა სახის უარყოფითი შეხედულებები და დეფორმაციები, რამაც შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისა და მასობრივი თავდაცვითი მუშაობის ტრადიციულად მაღალ დონესა და ხარისხზე.

შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით სუსტად წარმოებს არმიისა და ხალხის ერთიანობის განმტკიცების ახალი ფორმების ძიება, არასრულფასოვნად გამოიყენება კულტურული დაწესებულებების შემოქმედებითი კოლექტივებისა და კულტურისა და ხელოვნების სასწავლო დაწესებულებათა შესაძლებლობანი ახალგაზრდობის სამხედრო ტრადიციებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ზოგიერთ შემთხვევაში ირღვევა სამხედრო ნაწილებსა და შემოქმედებით კოლექტივებს შორის ჩამოყალიბებული საშეფო კავშირები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1989 წლის 15 ივლისის დადგენილების განუხრელი შესრულების უზრუნველსაყოფად (ოქმი N 132, პ.12, "ახალგაზრდობის სამხედრო-პოლიტიკური აღზრდის გაძლიერების დამატებით ღონისძიებათა გეგმის შესახებ")

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მასობრივ-პატრიოტული და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ყველა ფორმისა და მეთოდის გამოყენებით მკვეთრად გააუმჯობესონ ახალგაზრდობის სამხედრო-პოლიტიკური აღზრდა, მთელი ძალები მოახმარონ საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისადმი ახალგაზრდებისა და ახალწვეულთა მშობლების დამოკიდებულების შეცვლას, აწარმოონ ეს მუშაობა სამხედრო ნაწილების პოლიტორგანოებთან მჭიდრო კონტაქტში, აქტიურად განმარტონ სსრ კავშირის თავდაცვის საქმეში მოქალაქეთა ვალდებულებისა და მოვალეობების კონსტიტუციური ხასიათი.

2. აფხაზეთისა და აჭარის კულტურის სამინისტროებში, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის კულტურის განყოფილებაში, კულტურის საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში სამხედრო კომისარიატებთან ერთად, შემოქმედებით დაწესებულებათა ავტორიტეტული წარმომადგენლების, ომისა და შრომის ვეტერანების, მეომარ-ინტერნაციონალისტების მონაწილეობით შეიქმნას საინიციატივო ჯგუფები ახალგაზრდობასთან ინდივიდუალური მუშაობისათვის და ა. შ.

დასკვნის გაკეთება თქვენთვის მოგვინდვია!

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების სამხედრო საქმეთა კომისია

# მ ი მ ა რ თ ვ ა

1989 წლის თერთმეტი ოქტომბრიდან ქ. თბილისში დაიწყო საბჭოთა არმიისადმი ბოიკოტის აქცია. წვევამდელთა გარკვეულმა ჯგუფმა გამოაცხადა მჯდომარე გაფიცვა საოკუპაციო არმიაში სამსახურისადმი პროტესტის ნიშნად. გაფიცულთა რიცხვი დღითიდღე იზრდება სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში. ჩვენი ზნეობრივი და პოლიტიკური მრწამსიდან გამომდინარე ვაცხადებთ, რომ ეს აქცია სავსებით სამართლიანია და იგი ჭეშმარიტად იმსახურებს მხარდაჭერას ყველა სინდისიერი ადამიანისაგან, სამართლიანია საერთაშორისო ნორმების თვალსაზრისითაც, ვინაიდან ჟენევის კონვენციის თანახმად, რაზედაც ხელი მოწერილი აქვს საბჭოთა კავშირსაც, მაოკუპირებელ სახელმწიფოს არ შეუძლია აიძულოს მფარველობაში მყოფი პირები ამსახურონ საკუთარ შეიარაღებულ ან დამხმარე ძალებში და სამართლიანია ზნეობრივი თვალსაზრისითაც, ვინაიდან 9 აპრილის შემდეგ საქართველოში ჩამოასვენეს მრავალი ჯარისკაცი და ქართველი ბიჭები სამხედრო ნაწილებში განიცდიან განსაკუთრებულ შევიწროებას.

ჩვენ სრულ თანადგომას და სოლიდარობას ვუცხადებთ გაფიცულ ახალგაზრდებს და კატეგორიულად მოვითხოვთ, შემდეგს: ხელისუფლებამ უნდა მისცეს ქართველ ხალხს მათი ხელშეუხებლობისა და მათ მიმართ ყოველგვარი რეპრესიების დაუშვებლობის სრული გარანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი ერი მიმართავს უკიდურეს და საყოველთაო მასშტაბის პოლიტიკურ ზომებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარეს მ. ს. გორბაჩოვს
სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს
დ. თ. იაზოვს

რადგანაც მე მწამს ღმერთი და ვთვლი, რომ ღმერთი ყოველ ჩვენგანს "ელაპარაკება" გონიერებისა და გრძნობების ენაზე, "...სიტყვა-შეუბრუნებლად შევასრულო უფროსის ყველა ბრძანება" – ჩემი მხრიდან შეუძლებლად მიმაჩნია;

ვინაიდან 1921 წ. 25 თებერვალს წითელმა არმიამ მოახდინა დემ. საქ. რესპ. ოკუპაცია;

ვინაიდან 1949 წ. 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციაში ჩაწერილია, რომ "მაოკუპირებელ სახელმწიფოს არა აქვს 'უფლება აიძულოს მფარველობაში მყოფი პირები, რომ მათ იმსახურონ მის შეიარაღებულ ან დამხმარე ძალებში", და რომელზეც ხელი აქვს მოწერილი სსრკ-საც;

ვინაიდან სისხლიანი ვანდალიზმის აქტების უშუალო მონაწილეა წითელი არმია (1921, 1924, 1928, 1930, 1946,1956 და 1989 წლები);

ვინაიდან 9 აპრილის სისხლიანმა საოკუპაციო-დამსჯელმა აქციამ კიდევ ერთხელ დაგვანახა საბჭოთა საოკუპაციო არმიის არსი (დამსჯელები არ დასჯილან);

ვინაიდან 9 აპრილის შემდეგ არმიის რიგებში შექმნილმა შოვინისტურმა ატმოსფერომ გამოიწვია 70-მდე ქართველი ახალგაზრდის ძალადობრივი დაღუპვა და წამება;

ვინაიდან ვთვლი, რომ სსრკ-ში ძალაუფლება უზურპირებულია, რისი გარანტიაც არის წითელი არმია;

ვინაიდან საქართველოს ყოფნა სსრკ-ს შემადგენლობაში უკანონოა, არ შემიძლია ვიყო საბჭოთა წითელი არმიის თადარიგის ოფიცერი.

წმინდა ილია მართლის საზოგადოების
გამგეობის წევრი თედო პაატაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარეს ბ-ნ ნ. ჭითანავას
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის
პარტიისა და წმ. ილია მართლის
საზოგადოების სამხედრო საქმეთა კომისიის

# მ ი მ ა რ თ ვ ა

1989 წლის 11 ოქტომბრიდან სრულიად საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობდა საოკუპაციო არმიაში სამსახურისადმი საპროტესტო აქცია.

წვევამდელები, რომლებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს დამპყრობლის არმიაში სამსახურს, თანადგომასა და მხარდაჭერას პოულობენ არა მარტო საქართველოში არსებული პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან, არამედ მათ მხარს უჭერს ქართველი ერი, რაც დასტურდება უამრავი რეზოლუციით, მიმართვით და პეტიციით არსებული ხელისუფლებისადმი, სადაც ნათქვამია, რომ – "ჩვენ სრულ თანადგომასა და სოლიდარობას ვუცხადებთ გაწვეულ ახალგაზრდებს და კატეგორიულად მოვითხოვთ შემდეგს: ხელისუფლებამ უნდა მისცეს სამხედრო საპროტესტო აქციის მონაწილეებს ყოველგვარი რეპრესიების დაუშვებლობის სრული გარანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი ერი მიმართავს უკიდურეს და საყოველთაო პოლიტიკურ ზომებს."

დღეისათვის ცხადი გახდა, რომ შევიწროებას განიცდიან სამხედრო სამსახურზე ბოიკოტის გამომცხადებელი მოქალაქეები (წვევამდელები, ჯარის ნაწილებიდან გამოქცეული ჯარისკაცები, სამხედრო ვალდებულება მოხდილნი, რომლებმაც ჩააბარეს სამხედრო ბილეთები).

მოქალაქეები მიწერის მოწმობებისა და სამხედრო ბილეთების უქონლობის გამო ინსტანციებში აწყდებიან წინააღმდეგობებს, ვერ ეწყობიან სამსახურში, რაც ხელს უწყობს უმუშევრობასა და სხვა სახის დანაშაულებებს. მათ საბუთებს არ იღებენ უმაღლეს და საშუალო სპეციალური განათლების სისტემებში, არ წერენ საცხოვრებელ სახლებში, არ აძლევენ კუთვნილი ავტომანქანის მართვის მოწმობას და ა. შ.

ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში ფიგურირებენ და ერევიან სამხედრო ინსტანციები, რაც წარმოადგენს ადამიანის საყოველთაო უფლებების უხეშ დარღვევას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აუცილებლად მიგვაჩნია სამხედრო სისტემის უხეში ჩარევის აღკვეთა ცხოვრების სფეროში და კატეგორიულად მოვითხოვთ შემდეგს:

I)

ა) საწარმოო დაწესებულებებმა მიწერის მოწმობისა და სამხედრო ბილეთების გარეშე მიიღონ სამუშაოდ ზემოთ აღნიშნული პირები;

ბ) საცხოვრებელ ბინებში ჩაწერა მოხდეს აღნიშნული ბიუროკრატიული საბუთების გარეშე;

გ) დაუბრუნდეთ მათ კუთვნილი ავტომანქანის მართვის მოწმობები;

დ) მისაღები გამოცდების კომისიებმა მიიღონ საბუთები მიწერის მოწმობის გარეშე;

ე) ქორწინების შემთხვევაში ხელისმოწერა არავითარ შემთხვევაში არ იქნეს დაბრკოლებული.

II) სამხედრო სამსახურზე ბოიკოტგამოცხადებულ ჯანმრთელობაშერყეულ გამოქცეულ ჯარისკაცთა და წვევამდელთა ჯანმრთელობის საკითხი.

განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს ჯანმრთელობაშერყეულ გამოქცეულ "ჯარისკაცთა" და წვევამდელთა საკითხი.

გამოქცეულ "ჯარისკაცთა" ნაწილმა და ზოგიერთმა სამოქალაქო პირმა სამხედრო სამსახურზე ბოიკოტის გამოცხადების მიზნით ჩვენთან მოსვლამდე მიმართა სამხედრო ჰოსპიტალს სასწრაფო სამედიცინო სამსახურის მისაღებად და სამკურნალოდ. ექიმებმა უარით გამოისტუმრეს ისინი,

როგორც გამოქცეული ჯარისკაცები, რითაც ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული, რამეთუ ექიმის უპირველესი მოვალეობაა ავადმყოფისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

ჩვენი მიმართვის საფუძველზე — საქართველოს ექიმთა ასოციაციისა და ჯანმრთელობის სამინისტროს მიმართ — ექიმთა ასოციაციამ შექმნა საზოგადოებრივი კომისია, რომელმაც შეისწავლა ავადმყოფთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და წინასწარი ავადმყოფობის დიაგნოზის დასმით, ჯანმრთელობის სამინისტროს სახით, გაიგზავნენ სამკურნალოდ საბოლოო დიაგნოზის დასამტკიცებლად სამოქალაქო საავადმყოფოებში. მიუხედავად საავადმყოფოებიდან გამოწერისა, ბიჭები საჭიროებენ მკურნალობის გაგრძელებას და ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნას, რამეთუ ზოგიერთ მათგანს ინვალიდობის დონემდე აქვს შერყეული ჯანმრთელობა და ეკუთვნით ინვალიდობის პენსია.

ავადმყოფმა ჯარისკაცებმა, რომელთაც არათუ ათავისუფლებდნენ სამხედრო სამსახურიდან ჯანმრთელობის გამო, სრულყოფილ მკურნალობასაც არ უტარებდნენ და უგულებელყოფდნენ მათ სამართლიან მოთხოვნებს, პროტესტის ნიშნად დატოვეს ნაწილები, რითაც არა თუ ჯანმრთელობა, ზოგიერთმა სიცოცხლეც კი გადაარჩინეს.

საქართველოს ეროვნული მოძრაობა ვალდებულად თვლის თავს თანადგომა გამოუცხადოს და უზრუნველყოს სამხედრო სამსახურზე ბოიკოტის გამომცხადებელი ავადმყოფი ჯარისკაცების უსაფრთხოება, რამეთუ სამხედრო ინსტანციების მხრიდან მათი აყვანის შემთხვევას გამოუსწორებელი მძიმე შედეგები მოჰყვება მათი ჯანმრთელობის გამო.

კატეგორიულად მოვითხოვთ სამხედრო ნაწილებიდან გამოქცეულ დაავადებულ ახალგაზრდათა მიმართ დევნის შეწყვეტას და როგორც ავადმყოფთათვის ნორმალური პირობების შექმნას, გარანტიებს მათი შემდგომი მკურნალობის მიმართ, ყოველგვარი ბიუროკრატიული წინააღმდეგობების მოხსნისა.

06.03.1990 წ.

სამხედრო კომისიის სახელით:

ი. ბათიაშვილი
ა. გიორგაძე
დ. გოგიაშვილი
კ. ლურსმანაშვილი

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს
საქართველოს ექიმთა ასოციაციას
წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და
ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის
სამხედრო საქმეთა კომისიის

# მ ო მ ა რ თ ვ ა

მოგმართავთ იმ პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც შეიქმნა წვევამდელთა გაწვევის საორგანიზაციო კომიტეტში და რომლის გადაჭრაც ექიმთა კომპეტენციაში შედის.

საქმე ეხება ჯარის ნაწილებიდან სხვადასხვა მიზეზების — ავადმყოფობა, შევბელება, სამხედრო სამსახურის მიტოვება — გამო ჩამოსული ჯარისკაცების ბედზე, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, დღეისათვის კრიტიკულია.

ამ ახალგაზრდების დღევანდელი მძიმე მდგომარეობა განაპირობა შემდეგმა:

1) ნაწილს სამხედრო სამსახურში გაწვევამდე ჰქონდა გარკვეული პრეტენზიები საექიმო კომისიის მიმართ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რასაც სათანადო ავადმყოფობის ისტორია ადასტურებდა. მიუხედავად ამისა, ისინი ჯანმრთელად სცნეს და გაწვეულ იქნენ ჯარში, რის შემდეგაც ბევრი მათგანი ნაწილში ჩასვლისთანავე დაავადდა. მათი დაჟინებული თხოვნა სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა, ხშირად უგულებელყოფილი იყო და მხოლოდ უკიდურესი შემთხვევის დროს, როცა უკვე ზოგიერთს ფეხზე დგომის თავიც კი არ ჰქონდა, ათავსებდნენ საავადმყოფოში, მაგრამ არ უტარებდნენ სრულ მკურნალობას. აღარაფერს ვამბობთ კომისიაზე გატარების საჭიროებაზე, რომელიც მათ არსებული უკანონო კანონებითაც ეკუთვნოდათ. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ჯარში სამსახურის პერიოდში ყოველივე ამის შედეგად მკვეთრად გაუარესდა. ოფიცრები ავადმყოფებს ცინიკურად "ქართველ აფერისტებს" უწოდებდნენ. საავადმყოფოდან ნაჩქარევად, მკურნალობის სრული კურსის ჩაუტარებლად წერდნენ. შემდეგ ჯანმრთელობის გამო სამუშაოს ან ბრძანებების შეუსრულებლობის გამო ჰაუპტვახტში გზავნიდნენ, სადაც აწამებდნენ, უქმნიდნენ აუტანელ პირობებს. როცა საავადმყოფოში მეორედ მოხვედრილ ავადმყოფს ექიმი ეტყვის: — ისეთ ნემსს გაგიკეთებ, რომ ფეხებს გაჭიმავთ, — აღარაფერი რჩება და სიმართლის საძიებლად, თავისი სიცოცხლის გადასარჩენად საქართველოში გამორბის და ჩვენ მოგვმართავს.

2) ახალგაზრდების ნაწილი სრულიად ჯანმრთელი წავიდა ჯარში. ზოგიერთი მათგანი სპორტსმენიც კი იყო, მაგრამ დღეისათვის მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, ზოგიერთებს ინვალიდობის ჯგუფიც შეიძლება მიეკუთვნოთ. ისინი დაავადდნენ წამების შედეგად. ფიზიკური ზემოქმედების შედეგად ჩამტვრეული აქვთ ყბები, კბილები, დაზიანებული აქვთ შინაგანი ორგანოები, მოშლილი აქვთ ფსიქიკა, ნერვული სისტემა, აღენიშნებათ ხასიათის, ქცევის ისეთი მკვეთრი შეცვლა, რომ მშობლები შვილებს ვეღარ ცნობენ. მშობლები გამუდმებით გვთხოვენ დახმარებას. უმთავრესი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ავადმყოფებს საავადმყოფოებში არ ღებულობენ. მათ უბნებიან: — დაბრუნდით ნაწილში, იქ იმკურნალეთ, იქ გაიარეთ კომისია, რაზედაც ისინი უარს აცხადებენ იმ მოტივით, რომ სურთ დაღუპვისაგან იხსნან თავი.

1989 წლის დასაწყისიდან დღემდე საქართველოში ჩამოსვენებული 95-მდე ჯარისკაციდან უმრავლესობა სწორედ წამების შედეგად დაიღუპა (ხშირია ცემით გამოწვეული სისხლის ჩაქცევა, გულის, თირკმელების დაზიანება და სხვა შემთხვევები). არაადამიანურ ცემასთან ერთად ჯალათები მიმართავენ წამების მეთოდს — "დასტოჩკას", რომლითაც საბოლოოდ ირყევა ჯარისკაცის ჯანმრთელობა. ფართოდ არის გავრცელებული

აგრეთვე ქლორიანი წყლით წამების მეთოდი, რომელიც იწვევს მთელ რიგ დაავადებებს. ჩვენ მოგვმართა ქლორიანი წყლით წამების შედეგად დაავადებულმა პიროვნებამ, საქართველოს ჩემპიონმა, რომელსაც დაუავადდა ორივე ფილტვი, უჭირს სუნთქვა, ლაპარაკი. ბევრია ისეთი, რომლის სიცოცხლეს ამჟამად ემუქრება საფრთხე. ამჟამად უპირველეს პრობლემას მათი კომისიაზე გაყვანა და მკურნალობა შეადგენს. ვინც ჩვენ დახმარების მისაღებად თხოვნით მოგვმართა, ჯარში დაავადმყოფებულების ერთ პროცენტსაც კი არ შეადგენენ, ამიტომ მათ მაინც როგორმე უნდა იგრძნონ ჩვენი თანადგომა.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების თხოვნით, განცხადებით მოგვმართეს წვევამდელებმაც. როგორც ჩანს, ისტორია მეორდება -- სამხედრო საქმეთა კომისია ჯანმრთელად სცნობს ავადმყოფ წვევამდელს, რასაც ჯარში გაწვევის შემდეგ ესათუის მძიმე შედეგი მოჰყვება.

საქართველოს კომისარიატის მთავარი სამმართველოს მიწვევით 16 ნოემბერს ჩვენი წარმომადგენელი ესწრებოდა მთავარ გასაწვევ პუნქტში კანონიერ ქორწინებაში მყოფი წვევამდელების დაკომპლექტებას. კანონის თანახმად სამხედრო სამსახურის მოსახდელად ქორწინებაში მყოფი წვევამდელები საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაეგზავნათ, მაგრამ აქაც აღმოჩნდა მთელი რიგი დარღვევები. ასევე, სამხედრო საქმეთა კომისიამ ყველა ჯანმრთელობამერყევ წვევამდელს ერთი და იგივე "რჩევა" მისცა: წადი ჯარში და ავადმყოფობა იქ გაგივლისო. გამოდის, რომ ჯარი სნეულთა სამკურნალო დაწესებულება ყოფილა?!

ასეთი ვანდალიზმით "ექიმები" სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადიან, რასაც როგორც ადრე მოგახსენეთ, უკიდურესად მძიმე შედეგები მოსდევს.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: ჩვენთან დახმარების სათხოვნელად მოსულთა უმრავლესობა შეადგენს 1989 წლის გაზაფხულზე არა ევროპულ ზონაში — ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, შუა აზიაში — გაწვეულებს, მიუხედავად იმისა, რომ (1989 წლის გაზაფხულის პრესაში გამოქვეყნებული დადგენილებების, სატელევიზიო ინფორმაციების შესაბამისად) მათ სამხედრო სამსახური ევროპულ ზონაში, შედარებით ნორმალურ კლიმატურ პირობებში უნდა გაევლოთ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ოფიციოზს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ჩვევა — დაადგინოს, თქვას ერთი და აკეთოს მეორე.

1989 წლის გაზაფხულზე გაწვეული წვევამდელების მოთხოვნა, რათა ემსახურათ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, დაკმაყოფილებულ იქნა სიტყვიერად და იურიდიულადაც გაფორმდა საქართველოს კომისარიატის მთავარი სამმართველოს მხრიდან გაწვეულთა საერთო სიაზე ხელის მოწერით. მიუხედავად ამისა, გაწვეულთა ნაწილი მაინც აღმოჩნდა საქართველოს ფარგლებს გარეთ. საქართველოს ტერიტორიის გარეთ მოტყუებით აღმოჩნდნენ აგრეთვე ისინიც, რომლებიც არა მხოლოდ გამაწვეულნი იყვნენ, არამედ იმყოფებოდნენ ქორწინებაში, ჰყავდათ შვილები.

ამგვარად, ოფიციოზისთვის არ არსებობს კანონი, რომელსაც ის არ არღვევდეს. ასეთ პირობებში რომელი კანონის დარღვევაზე მიგვითითებს ოფიციოზი?

თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ ნიუანსზე. როცა ჩვენ ვააშკარავებთ და ვებრძვით უკანონობას საბჭოთა საოკუპაციო ჯარებში, ჩვენს მიზანს არ შეადგენს ჯარში წესრიგის დამყარება, რამეთუ ეს შეუძლებელია. ჩვენი მიზანია დანაშაულობების სააშკარაოზე გამოტანა, მხილება და დამპყრობლის არმიაში სამსახურზე უარის თქმა.

ჩვენი მოწოდების მიუხედავად, 1989 წლის შემოდგომაზე საბჭოთა საოკუპაციო ჯარში გაწვეულ იქნა წვევამდელების აბსოლუტური უმრავლესობა, რითაც თავად წვევამდელებმა ხელი მოაწერეს მათ მიმართ წინასწარ გამოტანილ განაჩენს — მეთოდურად გამიზნულ წამებას, ხოცვა-ჟლეტას. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ახალი წლიდან დავიწყოთ თვლა, თუ

რამდენ ჯარისკაცს ჩამოასვენებენ საქართველოში. ჩვენ უკეთესობის იმედი არა გვაქვს, პირიქით, მიგვაჩნია, რომ ანტიქართული ფსიქოზი მხოლოდ დაწყებით სტადიაშია და წინ წარმოუდგენელი ტრაგედიები მელის. გამოსავალი ერთია: ჩვენ თვითონ უნდა ვუპატრონოთ ჩვენს თავს. მაგრამ ამის უმთავრესი წინაღობა ბიუროკრატია გახლავთ. კომისარიატები, მილიციის დახმარებით, წვევამდელებზე და ჯარის ნაწილებიდან გამოქცეულ პიროვნებებზე ნადირობენ, მიმართავენ პროკურატურას, რათა მათ მიმართ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ეს იმ დროს, როცა ქართველი ერის წინააღმდეგ ეწყობა შეთქმულება, მიმდინარეობს ფარული ომი. საკითხავია, ვის ინტერესებს იცავს ქართული საბჭოთა ბიუროკრატია, რატომ ებრძვის საკუთარ ერს დამპყრობლის მიერ თავსმოხვეული უკანონო კანონებით, რომელსაც თავად არღვევს ყოველ ნაბიჯზე?

საბჭოთა კომუნისტურმა სისტემამ მის მიერ აღზრდილ, მორალურად გადაგვარებულ პიროვნებებზე დაყრდნობით, შექმნა ბიუროკრატიული მექანიზმი, რომლის მთავარი დანიშნულებაა დანაშაულის დაფარვა, მოძალადე ცენტრის უკანონო "კანონების" დაცვა. მაგალითისთვის საბჭოთა საოკუპაციო ჯარში მიმდინარე ტოტალური დანაშაულებრივი მექანიზმის ხელშემწყობი მიზეზების გაშუქება იკმარებს. იმ დროს, როდესაც ჯარში ტარდება ქართველი ახალგაზრდობის გენოციდის პოლიტიკა, ქართული საბჭოთა ბიუროკრატიული მექანიზმი მის დაფარვას ემსახურება ეგრეთ წოდებული ინტერნაციონალიზმის დასაცავად, მაგრამ ავადმყოფობა, რომელსაც გამომჟღავნება და მკურნალობა სჭირდება, დაფარვის შედეგად სულ უფრო და უფრო გამწვავდება. მეგობრობისა და ძმობისათვის საჭიროა არა დანაშაულის დაფარვა, არამედ მისი მხილება, ჭეშმარიტების დადგენა, რაც, ადრე თუ გვიან, მაინც მოხდება. მოცემულ შემთხვევაში კი ინტერნაციონალიზმის გასაფრთხილებლად საჭიროა შეწყდეს ქართველი ახალგაზრდების გენოციდი საბჭოთა არმიაში.

შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია ქართველი ერის თვითშეგნების ამაღლება, მტრისა და მოყვრის გარჩევა, მტრის მიერ თავსმოხვეული ძალადობისა და უკანონობის რეალიზაციის აბსურდულობის შეგნება ქართველი საბჭოთა ბიუროკრატიის მხრივ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვიხსნით ჩვენს ერს გენოციდისაგან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წმინდა ილია მართლის საზოგადოება და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის სამხედრო საქმეთა კომისია საქართველოს ექიმთა ასოციაციას მოგმართავთ თხოვნით, რათა მხარი დაუჭიროთ საქართველოს ეროვნულ მოძრაობას იმ კონკრეტული, გადაუდებელი საკითხების გადაჭრის საქმეში, რომელიც თქვენს კომპეტენციაში შედის. კერძოდ: გთხოვთ, ჯარის ნაწილებიდან იძულებით გამოქცეული ახალგაზრდები და წვევამდელები, რომლებმაც დახმარებისათვის განცხადებით მოგვმართეს, გაატაროთ ექიმთა ასოციაციის საზოგადოებრივ კომისიაზე, მიიღოთ საავადმყოფოებში, ჩაუტაროთ მკურნალობა და გამოკვლევა ავადმყოფობის საბოლოო დიაგნოზის დასადგენად (ფორმა N 27), რაც კიდევ ერთი მამხილებელი საბუთი იქნება იმისა, რომ ოკუპანტები ავადმყოფების წაყვანასაც კი არ ერიდებიან და რომ საბჭოთა საოკუპაციო არმია ადამიანის დახეიბრების პირდაპირ გზას წარმოადგენს.

ცხადია, ადამიანთა უფლებების დაცვის პროცესში შეგხვდებათ წინააღმდეგობები უკანონო კანონებს ამოფარებული და მისი ინტერესების დამცველი "ქართული საბჭოთა" ბიუროკრატიის, ასევე გარეშე ძალების მხრიდან, მაგრამ იმოქმედეთ ისე, როგორც თქვენი სინდისი, ექიმის მოვალეობა, ერის ინტერესები გიკარნახებთ.

სამხედრო საქმეთა კომისიის სახელით:

ი. ბათიაშვილი
კ. ღურსმანაშვილი
დ. გოგიაშვილი
ა. გიორგაძე
კ. გოგოლაძე

საქ. სსრ სამხედრო კომისარს

წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და
ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის
სამხედრო საქმეთა კომისიას

ნანიაშვილი დავით გერონტის ძის

# განცხადება

1989 წ. 12 მაისს გამიწვიეს ჯარში ყაზახისტანში ქ. აქტიუბინსკში. კარანტინში ყოფნის პერიოდში ქართველებს განსაკუთრებით სისასტიკით გვექცეოდნენ. რამდენჯერმე შემიყვანეს ოფიცრებმა კანცელარიაში და მცემდნენ, რადგან ქართველი ვიყავი. 8 დღის შემდეგ გადამიყვანეს ტურა-ტამში, სადაც ერთ უარეს მდგომარეობაში ჩავვარდი და რადგან ავადმყოფობის გამო მუშაობა არ შემეძლო, ჩამსვეს გაობახტში, საიდანაც ცოცხალ-მკვდარი გამომიყვანეს, რადგან მეორემ რუსმა მცემა და მას შემდეგ ორ კვირამდე ვიწექი ნაწილის მედპუნქტში. ასე მოსდიოდათ იქ მყოფ ქართველებს. ერთი თვის შემდეგ მივიღეთ ფიცი და ჩვენ ქართველები სულ დაგვშალეს და სხვადასხვა ნაწილებში წაგვიყვანეს. მე მოვხვდი ქ. აქტიუბინსკში ს/ნ N47089. მდგომარეობა ნაწილში მოხვედრილი 9 ქართველისთვის წარმოუდგენლად დაძაბული იყო. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ბიჭები იჭრიდნენ ვენებს, ისერავდნენ ყელს და ჭკუიდან იშლებოდნენ. ყველაფრის ამის შემდეგ გადავწყვიტე გამოვქცეულიყავი სამშობლოში.

ჯერ კიდევ სამხ. არმიაში გაწვევამდე უბნის ექიმის მიერ ვიყავი დაგზავნილი ნევროლოგიურ საავადმყოფოში. მაწუხებდა გულის შეტევები, თავის ტკივილები, მაგრამ იმის გამო, რომ ვიყავი წვევამდელი, ნევროლოგიურში არ დამაწვინეს და გამაგზავნეს სამხედრო საქმეთ კომისიაზე. სამხედრო კომისიამ მცნო ჯანმრთელად და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაცვლად, სადაც უნდა წავსულიყავი, გამაგზავნეს ყაზახისტანში.

ჩემი სამხედრო ნაწილში ჩასვლის პირველ კვირასვე გავხდი ავად. მქონდა მაღალი სიცხე, ჰაერის უკმარისობა, მქონდა გრიპი. ჩემს ჩივილებზე, რომ ღამეები არ მეძინა და ტკივილები მაწუხებდა, მემუქრებოდნენ გაობახტით, თუ სამუშაოზე არ გავიდოდი. ბოლოს წამიყვანეს სამოქალაქო საავადმყოფოში, სადაც გამიკეთეს გრიჟის ოპერაცია. ოპერაციის შემდეგ დავბრუნდი ნაწილში, საიდანაც გამაგზავნეს სამხედრო საავადმყოფოში. სამოქალაქო საავადმყოფოში მომცეს ცნობა ჩემი სამუშაოდან 6 თვის განთავისუფლების შესახებ, მაგრამ სამხედრო საავადმყოფოში სამუშაოდან გამანთავისუფლეს 15 დღით. ჩემი სამუშაოდან განთავისუფლების პერიოდში მქონდა სატელეფონო ლაპარაკი სახლში. დედაჩემთან საუბრის დროს მამაჩემი, მეორე ჯგუფის ინვალიდი, დაეცა. დედაჩემმა მითხრა, რომ ჩემთან ლაპარაკი უნდა შეწყვიტოს და სასწრაფო გამოიძახოს. სატელეფონო ლაპარაკი შეწყდა. მე ვერ გავუძელი ნერვიულ დაძაბულობას და იმ დღესვე გამოვიქეცი სახლში.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დეპუტატ ელდარ შენგელაიას შუამდგომლობით მშობლებმა დამაწვინეს სამხედრო საავადმყოფოში. ორი კვირის შემდეგ გამომწერეს და გამაგზავნეს კომენდატურაში. 13 დღის შემდეგ ჩამოვიდა წარმომადგენელი სამხედრო ნაწილიდან ჩემს წასაყვანად. 3 დღის შემდეგ ჩემი სამხედრო ნაწილიდან ჩამოსულმა წარმომადგენელმა გამომიყვანა კომენდატურიდან და სანამ წამიყვანდნენ ვიმყოფებოდი სახლში. ამ პერიოდში მოვიყვანე ცოლი. ქორწინება ოფიციალურად იქნა რეგისტრირებული. წასვლამდე ისევ გავხდი ცუდად. ამჯერად წმინდა ილია მართლის საზოგადოების შუამდგომლობით სამხედრო პროკურატურასთან, ისევ დამაწვინეს სამხედრო საავადმყოფოში, საიდანაც ორი კვირის შემდეგ

ისევ გამომწერეს დიაგნოზით შეუხორცებელი ჭრილობა გრიაზე, მაგრამ მიუხედავად სამედიცინო დიაგნოზისა, ჯარის სამსახურიდან მაინც არ გამანთავისუფლეს.

ვაცხადებ, რომ ჩემი ავადმყოფობის გამო სამხედრო საექიმო კომისიას არ ჰქონდა უფლება ჩემი სამსახურში გაწვევისა. საექიმო კომისია ატარებს ფორმალურ ხასიათს, რითაც ისინი, ექიმები, სჩადიან სისხლის სამართლის დანაშაულს. საბჭოთა ჯარში ირღვევა ელემენტარული უფლებები, რადგან სანამ ფეხზე დგომა შეუძლია, არავინ ყურადღებას არ აქცევს ჯარისკაცის სამართლიან მოთხოვნებს. დანაშაულებრივი უყურადღებობის შედეგად ირყევა ჯარისკაცის ჯანმრთელობა, რასაც ხშირად უმძიმესი შედეგი მოსდევს, სიკვდილის ჩათვლით. მიუხედავად ჩემდამი გამოვლინებული მთელი რიგი არაჰუმანური და დანაშაულებრივი დამოკიდებულებისა, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მივმართე საქართველოს სსრ კომისარიატის მთავარ სამმართველოს დაეკმაყოფილებინა მინიმალური თხოვნა, რაც მდგომარეობდა ჩემი სამხედრო სამსახურის საქართველოს ტერიტორიაზე გაგრძელებაზე. მაგრამ კვლავ უსულგულობას წავაწყდი როგორც სამხედრო ექიმების, ისე კომისარიატის მხრიდან. საბოლოოდ ჩემი თბილისში ყოფნის პერიოდში ჩამოყალიბდა მტკიცე აზრი საბჭოთა ჯარში მიმდინარე მასობრივი ტოტალური დანაშაულის შესახებ. შემძრა ჩემი ქართველი ძმების 56 ჯარისკაცის ბედმა, რომელთა ნაწილი დაიღუპა ავადმყოფობის შემდეგ, რაც შედეგია სამხედროებისა და სამხედრო ექიმთა დანაშაულებრივი პოლიტიკის გატარებისა. ბევრი ჯანმრთელობით შერყეული დაავადებული და ინვალიდი ჩამოდის. ყოველივე ამან გადამაწყვეტინა ჩემი თავდაპირველი მოთხოვნა სამხედრო სამსახურის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გაგრძელების შესახებ შემეცვალა. მე უარს ვაცხადებ მათკეპირებელ საბჭოთა ჯარში სამსახურზე, რითაც ვიცავ როგორც ჩემ პირთვნელ, ასევე ჩემი სამშობლოს ინტერესებს.

ხელის მოწერა: ნანიაშვილი

თარიღი 18 ოქტომბერი, 1989 წ.

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარს

საქართველოს სახალხო ფრონტს

წმინდა ილია მართლისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის სამხედრო საქმეთა კომისიას

მცხ. ბორჯომის რაიონ დაბა ახალდაბაში ალბერტ არკადის ძე პრასკურინის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მე, პრასკურინი ალბერტი, დედისერთა, დედა პენსიონერი, მამა ოჯახს გაცილებული არის, გამიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში 20 ნოემბერს. მოვხვდი ქ. ახალქალაქში. ჩასვლისას თავიდანვე გაგვა-ნაწილეს. ნაწილში მოვხვდით ორმოცი ქართველი. მეორე დღეს, დილით სა-უზმის შემდეგ, დაგვაყენეს გარეთ ორ მწკრივად. ხუთი წლის შემდეგ მოვიდნენ უფროსები და დაგვიწყეს თვალიერება, შეჩერდნენ ერთ ჩემს მეგობართან, რომელსაც მკერდზე ეხატა "ვარსკვლავი" და ეწერა "გმირი [illegible]". მას ერთმა პოლკოვნიკმა გახადა ბუშლატი და დაუ-წყო ცემა, ეს არ იკმარა, დაგვიწყო ლანძღვა, შეგვიგინა წინაპრები, ქართველი ერი, ქართული დროშა და აწ განსვენებული მერაბ კოსტავას საფლავი, ამ სიტყვებისა და უსამართლობის გულისათვის იძულებული გავ-ხდი, დამეტოვებინა სამხედრო სამსახური და წამოვსულიყავი.

განცხ. ა. პრასკურინი

14

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარს

"

წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და
ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის
სამხედრო საქმეთა კომისიას

მცხოვრები: ქ. ყვარელი, საბჭოს ქ. N 8
ვაჟა აკაკის ძე ლეტიშვილის

# განცხადება

1987 წლის მაისში გამიწვიეს საბჭოთა არმიაში, ყაზახისტანში, კზილორდინსკის ოლქში. ს/ნ N            ნაწილში. ჩასვლისთანავე იქ დამხვდა ძალიან მძიმე სიტუაცია. იქ მომსახურე ქართველებმა გვითხრეს, ეს სად ჩამოხვედით, თავები გაქვთ ჩამოსახრჩობი. ძალიან . ფრთხილად იყავით, თორემ ნებისმიერ პატარა მიზეზზე კომენდატურაში მოხვდებით. მალე ვიგრძენით ჩვენთ გარშემო შექმნილი უცნაური ატმოსფერო. ოფიცრები პირდაპირ მიზეზის ძებნაში იყვნენ და ხშირად მიზეზის არ სჭირდებოდათ იმისათვის, რომ ჩვენ დავესაჯეთ, გავეტეხეთ მორალურად, აღეძრათ ჩვენში შიში, განსაკუთრებით ჰქონდათ ყურადღება გამახვილებული ჩვენს ქართველობაზე და ცდილობდნენ ეს მკაცრად გამოხატული ანტიქართული განწყობილება რაც შეიძლება გაეღვივებინათ ჯარისკაცებში.

სამხედრო სამსახურში გაწვევამდე ვიყავი მძიმედ ავად. მაქვს ავადმყოფობის ისტორია, გადატანილი მაქვს გულის ინფარქტი, კოტრომბილი სისხლის შედედება, მაქვს დიაბეტი, თვალების ძალიან სუსტი მხედველობა, ღამე თითქმის ვერ ვხედავ, ნერვების ფუნქციის მოშლა. მიუხედავად ამისა, სამხედრო საქმეთა კომისია არ გამივლია, ისე წამიყვანეს ჯარში. ნაწილში სამსახურის დროს მუდმივად ცუდად ვიყავი, ღამეები არ მეძინა, ნერვები მქონდა უკიდურესად დაძაბული. ჩემს მიმართვაზე მედ-პუნქტში მიღებაზე და გასინჯვაზე უარს მეუბნებოდნენ, ქართველი სიმულიანტი ხარო. ერთხელ მედპუნქტიდან მობრუნებული სამუშაოდ გამაგზავნეს, სადაც ოფიცერმა, უკმაყოფილომ ჩემი მედ-პუნქტში სიარულით, რუს ჯარისკაცებს აცემინა ჩემი თავი. ბოლოს უყურადღებობის შედეგად გავხდი ცუდად, წავიქეცი და გონება დავკარგე. ამის შემდეგ ოფიცერს მივმართე კატეგორიული მოთხოვნით, რომ თუ სამხედრო საავადმყოფოში არ დამაწვენდნენ, გავიქცეოდი. ბოლოს დამაწვინეს სამხედრო საავადმყოფოში, სადაც მოვითხოვე ჩემი გაკომისიება სამხედრო სამსახურიდან, თავიდან დამთანხმდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც უარყოფითად გადაწყვიტეს ჩემი საკითხი. ერთადერთი, რასაც მივაღწიე, ის არის, რომ ავადმყოფობის გამო მომცეს შვებულება. თბილისში ჩამოსვლისთანავე მივმართე სამხედრო საავადმყოფოს, სადაც მითხრეს, რომ ნუ გეშინია, უკან ნაწილში დაბრუნებამდე გაძლებო.

სამხედრო საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ვნახე ჩემი მეგობარი ქართველი, რომელიც ვერ ვიცანი, თვითონ დამიძახა, კომენდატურაში ეცემიათ, სახე საოცრად ჰქონდა დასიებული ცემისაგან. ჩემს მეზობელ ნაწილში მოკლეს ქართველი ბიჭი, ოფიცრები ამბობდნენ: ავადმყოფი იყო, ხელი კრეს, წაიქცა და თავი გაუსკდათ. ქართველებმა ვნახეთ გარდაცვლილი, მას თავის ქალა ჰქონდა ჩამტვრეული და სახე იმ დონემდე დასიებული ცემისაგან, რომ ძლივს იცნეს, აგრეთვე ხელი ჰქონდა მოტეხილი. ამის შემდეგ, ყოველივე ზემოდან გამომდინარე, უარს ვაცხადებ საოკუპაციო ჯარში სამსახურის გაგრძელებაზე. მე ვთვლი, რომ ჩემს წინაამდეგ კი არ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, არამედ იმ ადამიანური სახის დამკარგავი პირების მიმართ, ვისაც სადიზმი, მკვლელობა სულიერ მოთხოვნილებად გადაქცევიათ, იმათ მიმართ, ვინც საერთოდ იძულებით გამაგზავნა ჯარში ჩემი მერყევი ჯანმრთელობის მიუხედავად.

რომელი კანონებით მეცდებიან ჩემს პასუხისმგებლობაში მიცემას? ალბათ იმ კანონებით, რომელიც მათ აძლევთ საშუალებას ჩაიდინონ უმძიმესი დანაშაული ადამიანის მიმართ, ერის მიმართ და, საერთოდ, მთელი ცივილიზებული კაცობრიობის მიმართ, რამეთუ მსოფლიოს საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე არ არსებობს იმაზე უფრო მძიმე დანაშაული, ვიდრე ერის გენოციდია. მე არ ვცნობ დამპყრობლის მიერ ჩემი ერისათვის თავს მოხვეულ უკანონო კანონებს, ამიტომ სრულ უარს ვაცხადებ დამპყრობლის ჯარში სამსახურზე.

28.10.1987

ვ. დეჟიშვილი

ოკუპირებული საქართველოს კომისარს
ლ. მარამენიძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადება

მე, ელდარ ალექსის ძე მამულოვი, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამიწვიეს ამა წლის 10 მაისს. მოვხვდი ქ. კუპინოში, სადაც ჩემთვის დამამცირებელი და აუტანელი პირობების გამო იძულებული გავხდი თვითნებურად დამეტოვებინა ნაწილი. ჩემი იქ გაჩერება შეუძლებელი გახდა შემდეგი პირობების გამო:

ქ. კუპინოში ჩასვლისთანავე, რომ შეიტყვეს, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდა ვიყავი, ირონიულად შემომხედეს და გამომკითხეს ცხრა აპრილის ამბები. მე მოვყევი სიმართლე, რაც მოხდა იმ ტრაგიკულ დღეს. შეურაცხმყოფელი ლაპარაკი დაიწყეს არა მარტო ჩემს მიმართ, არამედ მთელ საქართველოზე. მათ ქონდათ არასწორი ინფორმაცია, ვითომ საქართველოდან უნდოდათ რუსების გაძევება და ამბობდნენ ახლა ჯავრი თქვენზე უნდა ვიყაროთო. მე ბევრს ვეხსნიდი, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა, მაგრამ ლაპარაკს არ მაცლიდნენ.

ერთ დღეს სამი კაცი, რომლებიც საქართველოდან ვიყავით, გაგვიყვანეს სამუშაოდ. მე კუჭის ტკივილი მაწუხებდა, რის გამოც მუშაობა მიჭირდა. მოვიდა პოდპოლკოვნიკი, გვარად დროიდერი, რომელსაც შეიტყო, რომ საქართველოდან ვიყავით, მაშინ ასეთი სიტყვებით მოგვმართა: "ავტომატებით დასახოცები ხართ, და რომ დაიხოცოთ, ერთი ცრემლიც არ გადმომვარდება, რადგან ქართველები ხართ". კიდევ ისეთი შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოგვმართა, გახსენებაც არ მინდა. მარტო ეს პოდპოლკოვნიკი არ იყო, რომელიც გულს გვიკლავდა, ყველა ჩვენგანს გვეუბნებოდნენ, რომ: "ღორები, სპეკულიანტები, დაუნდობლები და ფაშისტები ხართო", ამასთან ერთად, რაც ყველაზე ძნელი და დამამცირებელი სამუშაოები იყო, ჩვენ, საქართველოს წარმომადგენლებს გვაკეთებინებდნენ.

ერთ შაბათ დღეს წაგვიყვანეს სამუშაოდ. დასაცლელი იყო ყურძენი, ვაშლი და ქლიავი. ცხრა კაცი სამუშაოს ადრე მოვრჩით და გამოგვიშვეს ნაწილში უპატრონოდ. გზაში გაგვაჩერეს მილიციის მუშაკებმა და წაგვიყვანეს განყოფილებაში. განყოფილებაში რომ გაიგეს საქართველოდან ვიყავი, მცემეს უზომოდ. ჩემთან ერთად ერთი ქართველი ბიჭიც იყო, მაგრამ მისი ცემა ვერ მოასწრეს, რადგან ნაწილიდან მოვიდნენ ოფიცრები და წაგვიყვანეს ნაწილში.

ყოველივე ამის გამო მე უარს ვაცხადებ საოკუპაციო ჯარში სამსახურზე.

30.10.89 წ.

განმცხადებელი: ე. მამულოვი.

მისამართი: ქ. თბილისი, ვაზისუბნის დასახლება,
II მიკრო რაიონი, 5 კორპუსი,
I სადარბ. ბინა N 27
მამულოვი ელდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარს

წმინდა ილია მართლისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის სამხედრო საქმეთა კომისიას

მცხოვრები: თბილისი, კალინინის რაიონი, ლერმონტოვის ქ. N 25
ზაური ვლადიმერის ძე მერმაკინის

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1989 წლის ივნისში გამიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. ასტრახანის ოლქში ქ. ოკტებინსკში ს/ნ 21022. ნაწილში ჩასვლისთანავე მოვხვდი წარმოუდგენლად მძიმე მდგომარეობაში. თავიდან ყველა, მათ შორის ადამიანის დამამცირებელ ბრძანებასაც ვასრულებდი, მინდოდა კარგად მემსახურა, მაგრამ ძალიან მალე მივხვდი, რომ ეს ბრძანებები განსაკუთრებით რუსი ჯარისკაცებისაგან ქართველების მიმართ აშკარად ტენდენციურად იყო მიმართული, მითუმეტეს, რომ ამ ბრძანებათა შესრულებაც არ შველოდა საქმეს, უკმაყოფილონი იყვნენ ჩემით და აშკარად რაღაც გაუთავებელი მიზეზების ძებნაში იყვნენ, რომ ჩვენ მკაცრად მოგვეპყრობოდნენ. როცა მივხვდი, რომ მოთმენას დიდი აზრი არ ჰქონდა, მე განვაცხადე პროტესტი ჩემს მიმართ ასეთი უაზრო ტენდენციური და აშკარად მტრული დამოკიდებულების გამო. გამაგზავნეს გაუბახტში, როგორც თვითონ თქვეს, ჩემს მოსარჯულებლად, იქ თხუთმეტი კაცი დამესხა და მცემეს. ჩემი გატეხვა უნდოდათ მორალურად, მაგრამ მე გავუძელი და მაინც არ შევასრულე მათი ადამიანის მორალურად გამანადგურებელი ბრძანებები. გაუბახტიდან გამოსვლის შემდეგ ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს. ნაცემი ვიყავი მარტო ტანზე, სახეზე თითქმის არ შემხებიან. დამაყენეს ყარაულში, ფეხზე დგომა მიჭირდა, გავიხადე წელს ზემოთ, გავშიშვლდი, ტანი მთლიანად დალურჯებული მქონდა. ბიჭებმა რომ მნახეს, მითხრეს ეს რას ვხედავთ, ცოცხალი როგორ გადარჩიო. ოფიცერი იძულებული გახდა გავეგზავნე მედ-პუნქტში, რადგან ფეხზე დგომა აღარ შემეძლო. მედ-პუნქტში ექიმმა მითხრა, რომ ჩემი მდგომარეობა სერიოზულია და გამაგზავნეს სამხედრო საავადმყოფოში. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ისევ გაგრძელდა ჩემი წამება. აზრი არა აქვს ყველა შემთხვევის ჩამოთვლას, მუდმივად გაუბახტში ვიჯექი, სადაც ჩემს მიმართ ირღვეოდა ყველა სამხედრო კანონი: არ მაძლევდნენ კუთვნილ ულუფას, დღეში ორჯერ მაძლევდნენ ნახევარ ნაჭერ პურს და ნახევარ ჭიქა წყალს. ღამე არ მაძინებდნენ, საკანში წყალს ასხამდნენ და კუთვნილ ბუშლატს არ მაძლევდნენ.

შტაბის უფროსი მაიორი საურა განსაკუთრებით მემტერებოდა, რომ ციხეში ჩაგალპობო. ერთხელ ერთი უზბეკი ბიჭი (ჯარისკაცი) ჩამოვარდა სამი მეტრი სიმაღლის სახურავიდან. მე არც დამინახია, როგორ ჩამოვარდა. საბედნიეროდ გადარჩა და ორი თვის შემდეგ საავადმყოფოდან გამოწერეს. მაიორი საურა ჯარისკაცის ჩამოვარდნისათვის მოვარდა და მე მომმართა რიგითი ბალატაევი თავისით არ ჩამოვარდებოდა, შენ ხელი კარი. ბალატაევმა თქვა: მე თვითონ ჩამოვვარდი, ხელი არავის არ უკვრია, მაგრამ მაიორი საურა ამტკიცებდა, არა, შენ მიმალავ, რომ ძალით ჩამოაგდესო, ჩამსვეს გაუბახტში, 5 დღის შემდეგ განმიცხადეს, რომ ბალატაევმა მისცა ჩვენება, რომ მე მას ხელი გავარტყი და ჩამოვაგდე. აღმიძრეს ჩემს წინააღმდეგ საქმე. ბალატაევს როცა ვკითხე, რომ მართლა დაწერა თუ არა ჩემს წინააღმდეგ რამე — მიპასუხა: მე არაფერი დამიწერია, უბრალოდ მითხრეს ხელი მოაწერე და მე მოვაწერე, მაგრამ რა ეწერა არ ვიცი. აგრეთვე მოწმის სახით ხელი მოაწერინეს ერთ ყირგიზ კადირბერგიევს, იმავე მეთოდით. ერთი თვის შემდეგ გამაგზავნეს ქალაქ ვოლგოგრადში საავადმყოფოში ფსიქიატრიულ განყოფილებაში, საიდანაც გამოვიქეცი და ჩამოვედი თბილისში.

იმის გამო, რომ საბჭოთა არმიაში ხდება უმძიმესი დანაშაული და ისევ დამნაშავენი გვასამართლებენ, შეუძლებლად მიმაჩნია იქ სამსახური, მე ვთვლი, რომ შესაძლებელიც რომ იყოს იქ სამსახური ნებისმიერი ქართველისათვის, მით უმეტეს 9 აპრილის შემდეგ, სამარცხვინოდ მიმაჩნია საბჭოთა საოკუპაციო ჯარში სამსახური, ამიტომ სრულ უარს ვეცხადებ მკვლელების ხროვაში სამსახურზე.

01.10.1989

ზ. შერმადინი

# ქართველ საზოგადოებრიობას

მოგმართავთ იმ მძიმე მწუხარებისა და უბედურების გამო, რამაც ჩავარდა — განსაკუთრებით ბოლო პერიოდში — ქართველი ახალგაზრდობა საბჭოთა საოკუპაციო ჯარში სამსახურის შედეგად. ადამიანებმა დაკარგეს ადამიანური სახე, სულები წარიწყმიდეს, დაშორდნენ ღმერთს და მხეცებს დაემსგავსნენ. მარტო 1989 წლის დასაწყისიდან დღემდე, მკვლელობებისა და სადისტური წამების შედეგად 90-ზე მეტი ჯარისკაცი ჩამოასვენეს საქართველოში.

რატომ დაიღუპნენ ჩვენი ძმები? მათი ერთადერთი "დანაშაული" მათი ქართველობა და ჭეშმარიტი ქრისტიანული სულია. ყოველივე აქედან გამომდინარე ისინი დაიღუპნენ საქართველოსთვის, შეეწირნენ სამშობლოს, როგორც ეწირებოდნენ ჩვენი წინაპრები ქართული მოდგმის სულიერი და ფიზიკური გადარჩენისათვის. ჩვენი ვალია პატივი მივაგოთ საქართველოსათვის დაღუპული შვილების ხსოვნას. ქართველმა ერმა უნდა იცოდეს მათი სახელები და ღირსეული პატივი მიაგოს მათ.

13 დეკემბერს ანდრია პირველწოდებულისა და ვახტანგ გორგასლის ხსენების დღეს, მცხეთა-თბილისის 12 ეკლესიაში აღევლინება ლოცვა ჩვენი ერისა და ეკლესიის ერთობისათვის, მშვიდობისა და სულიერი ამაღლებისათვის. ამ დღეს კათალიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და ნებით სიონის ეკლესიაში 1-ლი საათისათვის შედგება ჯარში დაღუპული საქართველოს შვილების პანაშვიდი. პანაშვიდამდე შედგება სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც დაიწყება 11 საათზე რუსთაველის მოედანზე "სახალხო ფრონტთან".

წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და ეროვნული
დამოუკიდებლობის პარტიის სამხედრო საქმეთა კომისია.

P.S. ქართველმა ერმა პატივი მიაგო საქართველოსთვის შეწირული ძმების ხსოვნას.1989 წლის 13 დეკემბერს მოკლე სამგლოვიარო მიტინგის შემდეგ მიტინგის მონაწილენი დაღუპული მშობლებისა და ნათესავების მონაწილეობით დაღუპული ბიჭების სურათებით და შავლენტიანი დახრილი დამოუკიდებელი საქართველოს დროშებით გაემართნენ სიონის ტაძრისკენ, სადაც დაესწრნენ წირვა-ლოცვას. შემდეგ უწმინდესმა და უნეტარესმა კათალიკოს პატრიარქმა ილია მეორემ ჩაატარა დაღუპულ ჯარისკაცთა პანაშვიდი და ლოცვაში სახელებით მოიხსენია დაღუპული ჯარისკაცები.

14.12.1989 წ.

აკაკი გიორგაძე

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის
პარტიის და წმინდა ილია მართლის
საზოგადოების სამხედრო საქმეთა კომისიას

გიგზავნით ფრაგმენტს ჯარისკაცის მშობლების წერილიდან, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ "ოგონიოკის" 1989 წლის მე-10 ნომერში.

"ჩვენი შვილი ენიტელის ითნასი, ჯანმრთელი, ფიზიკურად ძლიერი ბიჭი უეცრად დაიღუპა. მისი გვამი ცინკის კუბოთი გამოგვიგზავნეს 1987 წ. ივლისში. სამსახურის ადგილიდან მას არავინ მოჰყოლია, სიკვდილის მიზეზი არ შეგვატყობინეს, არავითარი საბუთი არ გამოგვიგზავნეს.

კუბოს აწევისას შევამჩნიეთ, რომ მისგან გამოედინება რაღაც მყრალი სისხლიანი სითხე. კომისარმა კუბოს ჩაბარებისას გვითხრა, რაც გინდათ გააკეთეთ. როდესაც კუბო გავხსენით, წამოვიდა საშინელი სუნი და ჩვენ დავინახეთ ის, რაც ცხოვრებაში არ წარმოგვედგინა:

სისხლიანი მყრალი სითხით ნახევრამდე გავსებულ კუბოში ჭუჭყიანი საბნის ქვეშ იდო ჩვენი შვილის გვამი. კუბო მის სიმაღლეზე გაცილებით მოკლე იყო, ამიტომ ფეხები მუხლებში იყო მოღუნული, თავი კი გვერდზე გადაგდებული. სახე ნახშირივით შავი იყო, დამახინჯებული და დაპატარავებული. მარჯვენა საფეთქელზე ჰქონდა 0,7 სმ დიამეტრის ღრმა ხვრელი.

ფეხებში ჩადებული იყო ძველი, გაცვეთილი სამხედრო ფორმა, რომელიც აშკარად ერთი პატარა ზომისა იყო. ჩექმები — სხვადასხვა. ერთს ეწერა გვარი "ჩალაძე", მეორეს — "საკუსიანი". შარვალს ეწერა "სალიმოვი. 1983", პიჯაკს — "ტელიევი", პერანგზე ეწერა "ალიევი. 1986".

მე მგონი წერილის შინაარსის გადმოცემის გაგრძელებას აზრი არა აქვს. როგორც იტყვიან — კომენტარები ზედმეტია.

პატივისცემით გიორგი წულეისკირი
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი.
380079 თბილისი, ბოცვაძის ქ. N 2,
ტელ. 99-68-84 ბინა
36-62-22 სამს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე. წ. სსრ კავშირის ჯარებში კვლავ გრძელდება ქართველთა შევიწროება. აქ საქმე გვაქვს არა მარტო დისკრიმინაციასთან ადამიანის უფლებებისა, არამედ ხშირია შემთხვევა მათი სიცოცხლის ხელყოფისა.

ვბეჭდავთ 1990 წლის იანვრიდან ჩამოსვენებულ ჯარისკაცთა სიას:

1. ჯიქურიძე ბესიკ არჩილის ძე
2. ბიულევი ოთარ იმბერგის ძე
3. ქამაყაშვილი გოგა ტუხის ძე
4. გალუსტაშვილი ბესიკ მითას ძე
5. ლინტური გიორგი გივის ძე
6. ტვილდიანი დამირ ჯუმბერის ძე
7. ლიპარტელიანი გიორგი მერმანის ძე
8. ცინცაძე მურად მითას ძე
9. სომხიშვილი ნუკრი ალექსის ძე
10. კონჩორიშვილი ალექსანდრე ჯემალის ძე
11. გამგებელი
12. ფხენტი გელა
13. გობეჯიშვილი გელა

სარედაქციო კოლეგია:

ირაკლი ბათიაშვილი
აკაკი გიორგაძე
ლადო გოგიაშვილი
კობა ლერსმანაშვილი

ბიულეტენის ნომერი მოამზადა და გამოსცა კობა ლერსმანაშვილმა